



**ბრალდების უცვლელობის პრინციპი ქართულ სისხლის სამართლის
პროცესში და საერთაშორისო ასპექტები**

თათია სიმსივე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ბესიკ ქვარცხავა,
მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვის შესაბამისად

თათია სიმსივე

1.07.2020

აბსტრაქტი

მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა - უარი თქვა ინკვიზიციურობის პრინციპზე და სამართალწარმოება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს დააფუძნა. ამით ქართულ მართლმსაჯულებაში, საერთო სამართლის ქვეყნების სისტემისაგან განსხვავებული მიდგომა ამოქმედდა და მოსამართლეს ინკვიზიციური პროცესის წარმმართველის ნაცვლად დამოუკიდებელი არბიტრის როლი მიენიჭა. მიუხედავად ამისა, 2010 წლის 1 ოქტომბრის საპროცესო კოდექსში, მოქმედებს ისეთი მუხლები, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპსა და დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებას, რადგანაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს, ბრალდების მხარეს კი გარკვეულ უპირატესობებს „სთავაზობს“. დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელება, ერთი მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მაშინ როდესაც, მოსამართლე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, დაცვის მხარის შუამდგომლობის გარეშე, ბრალს ცვლის თუნდაც ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო მეორე მხრივ, როდესაც ბრალდების მხარე არსებულ ბრალდებას, უფრო მსუბუქი ბრალდებით ცვლის. ამასთან მნიშვნელოვანია განსხვავებული პრაქტიკა და სხვადასხვა მიდგომები მოსამართლეთა მიერ, ბრალდების შეცვლის ნაწილში.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ყველა ის გამოწვევა, ასევე, დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც თან ახლავს ბრალდების შეცვლას, დაცვის მხარის შუამდგომლობის გარეშე. მიმოიხილება შეჯიბრებითობის პრინციპისა და დაცვის უფლების განხორციელების მნიშვნელოვანი ფაქტორები, მცირე ისტორიული ექსკურსი და თანამედროვე მიდგომები, როგორც საერთო სასამართლოების მიერ მიღებული, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.

საკვანძო სიტყვები: „გადაკვალიფიცირება“, „საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“, „მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი“, „საგამომიებო (ინკვიზიციური) მოდელი“.

Abstract

The current Criminal Procedure Code rejected the principle of Inquisition and established the principle of equality and competition between the parties. Thus, in the Georgian judiciary, a different approach from the system of common law countries was enacted, and the judge was given the role of an independent arbitrator instead of an inquisitorial process, Which is based on the equality and competition of the parties. Nevertheless, in the current Code of Procedure, some articles may contradict the principle of competition and the effective exercise of the right to protection. As much as it puts the defence on an unequal position, it "offers" certain advantages to the prosecution. The effective exercise of the right to defence, on the one hand, is questionable when the judge, in issuing a guilty verdict, without the motion of the defence, changes the charge even in favour of the accused, and on the other hand, when the prosecution replaces the existing charge with a lesser charge. However, different practices and different approaches are important for judges to change the charge and bring a verdict of acquittal.

In part, the present paper will discuss all the challenges, as well as the pros and cons that accompany the change of charge, without the motion of the defence. Important factors in the implementation of the principle of competition and the right to protection will be considered, as well as small historical excursions and modern approaches to the decisions taken by the Common Courts and the European Court of Human Rights and the courts of different countries.

Keywords: "Requalification", "Right to a fair trial", " Equality and Competitiveness of the Parties", Investigative (inquisitorial) model".